ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3735049

ნომერი: AR1563255

თარიღი : 07.12.2017

გაცემის თარიღი : 14.12.2017

გაცნობის თარიღი : 14.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/036);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბორის ხატიაშვილი პ/ნ 01024044086
- თბილისი საბურთალოს ქ. N 40 ბ. 54

ორგანიზაცია:
- ბილდ ჯორჯია კოდი: 405085731

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2815567
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.09.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 7 დეკემბრის AR1562255 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.საჭიროა გამწვანების აზომვომვითი ნახაზი დაამოწმოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბეჭდით.
2.გათბობა-კონდიცირების აგრეგატები საჭიროა მოეწყოს შენიღბულ ადგილზე, ისე რომ გარე ფასადზე არ იყოს ხილვადი, როგორც გათვალისწინებული იყო არქიტექტურულ პროექტში.
3.საჭიროა წარმოადგინოთ საექსპერტო შეფასება უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე, არსებული შენობის კონსტრუქციების მდგომარეობაზე, განხორციელებული სამუშაოების მიზანშეწონილობაზე. (მისი მდგრადობის შესაძლო დარღვევასთან გათვალისწინებული სამუშაოები). თან დაურთეთ შემსრულებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, დიპლომი და CV.

ამასთან ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 მაისის N8-10/01170553548-17 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ საყრდენი კედელი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად თუ ხარვეზი საკადასტროს ცვლილებით აღმოფხვრილია, საჭიროა ჯერ ზედამხედველობის სამსახურს მიმართოთ - ბრძანების აღნიშნულ ნაწილში ცვლილების შესატანად და შემდეგ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.